თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 07

27 ივნისი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 34 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — მიხეილ დაღუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან ბერძენაშვილი;

საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — ზურაბ ლილუაშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ხაჭაპურიძე;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — თინათინ ხანჯალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

თავმჯდომარე — ალექსი ძულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: ბაადურ რევაზიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ანა ოთარაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ბაადურ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ანა ფეიქრიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლალი მერაბიშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელი გიორგი თავბერიძე;

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი მარეხი მგალობლიშვილი;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

დღის წესრიგის დამტკიცებამდე **ნ.ვაყელიშვილმა** დღის წესრიგში დამატებით საკითხად წარმოადგინა: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ";

ა.ფეიქრიშვილმა დამატებით საკითხებად წარმოადგინა:

1. „თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ";

2. ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს" მიმართ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მ.ბურდიაშვილმა კი დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი მისი შვებულების შესახებ.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

   მომხს. ნ.მეტრეველი
   12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

3. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

   მომხს. ნ.მეტრეველი
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს. ლ. ბერძენაშვილი
   12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

5. ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე;

   მომხს. ლ. ბერძენაშვილი
   13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

6. ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს“ მიმართ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ლ.მერაბიშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამუკა ბურდიაშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. მ.ბურდიაშვილი
13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **რ.იმერლიშვილმა** დასვა კითხვა მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით.

ლ.ბერძენაშვილმა დასვა კითხვა სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების მუხლის შემცირებასთან დაკავშირებით.

ი.კევლიშვილმა ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის და სოფელ ყარაჯალაში მინი მოედნის დაზიანების შესახებ. აგრეთვე მერიის სხვა ხარჯების მუხლის გაზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნდა დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი ვინც უკანონოდ გაანთავისუფლა თანამშრომლები.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უკანონოდ გაანთავისუფლა რამოდენიმე თანამშრომელი, რის გამოც ბიუჯეტიდან სოლიდური თანხების გადახდა ხდება. თუ მსგავსი საქმე კიდევ არის სასამართლოში საჭიროა პირველ ინსტანციაშივე დამთავრდეს და აღარ გასაჩივრდეს იმისათვის, რომ დიდი თანხები არ გავიდეს ბიუჯეტიდან.

ბ.გულიაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ყარაჯალაში მინი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფა კი არ უნდა მოხდეს, არამედ შემსრულებელს უნდა მოეთხოვოს არასათანადოდ შესრულებულ სამუშაოს გამოსწორება. წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნა, დაზიანება მოხდა სტიქიის შედეგად თუ სამუშაო იყო არასათანადოდ შესრულებული, რადგან დასკვნა არ არის წარმოდგენილი იბადება ეჭვი, რომ არსებობდა კორუფციული გარიგება.

მ.ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის აუცილებლობა არ დამდგარა, რადგან სტიქიის შედეგად მოხდა კონსტრუქციის დაზიანება.

ბ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ ათეულობით ათასი ლარი იხარჯება უაზროდ. ყველას უნდა მოეთხოვოს სამუშაოების კეთილსინდისიერად შესრულება.

მან აგრეთვე ისაუბრა უმწეოთა და უპოვართა სამსახურის მომსახურების მიღების მსურველთა განცხადებების შესახებ და აღნიშნა, რომ ბევრი ადამიანი ნამდვილად საჭიროებს დახმარებას.

ა.ძულიაშვილმა დასვა კითხვა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის შემცირებასთნ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წყლის სისტემების პრობლემები არ არის მოწესრიგებული და თანხის შემცირება მიზანშეუწონელია.

დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტს რათქმა უნდა ჭირდება საკმაოდ დიდი თანხები, რათა მომსახურება მაღალ დონეზე მიიღოს მოსახლეობამ.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრების შენიშვნებზე და მოსაზრებებზე განმარტებები გააკეთს **ნ.მეტრეველმა და ნ.ვაყელიშვილმა.**

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ქ.თელავი ქვეითად მოსიარელეებისათვის არაკეთილგანწყობილი ქალაქია, შუქნიშნები და ზებრა მოუწესრიგებელია.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი)წევრმა, წინააღმდეგი 04(ოთხი) წევრი: **ი.კევლიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, ბ.გულიაშვილი, რ.იმერლიშვილი,** კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08(რვა) **წევრმა: ბ.რევაზიშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, ე.გურგენიშვილმა, ა.ძულიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა).**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 33(ოცდაცამეტი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01(ერთი) წევრმა: **რ.ჩეკურიშვილმა**).

<u>3.მოისმინეს:</u> თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა) .

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 30(ოცდაათი)წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: **ნ.ომანიძემ, ე.გურგენიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).**

<u>5.მოისმინეს:</u> ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე;

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** აღნიშნა, რომ საინტერესოა ამ ხნის განმავლობაში რა ღონისძიებები გაატარა მერიამ და რატომ ჭირდებათ დიდი დრო.

თ.ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი აქტის პროექტი დამუშავებულია სრულყოფილად, მერიას ჭირდება გარკვეული დრო, რათშ შიმუშაოს მექანიზმი თუ როგორ მოახდენს აღსრულებას.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა)წევრმა, წინააღმდეგი 01(ერთი) წევრი: **ბ.გულიაშვილი, ი.კევლიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, რ.იმერლიშვილი,** კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) **წევრმა: ა.ძულიაშვილმა, ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).**

6.მოისმინეს: ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს“ მიმართ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ლ.მერაბიშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ პროექტში აღნიშნული ორგანიზაციას ხელი უნდა შევუწყოთ განახორციელოს სხვადასხვა პროექტები.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 31(ოცდათერთმეტი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) **წევრმა: ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).**

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25(ოცდახუთი) წევრმა, წინააღმდეგი 02(ორი) წევრი: **ი.კევლიშვილი, ე.გურგენაშვილი,** კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) **წევრმა: ბ.გულიაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).**

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა) წევრმა, წინააღმდეგი 01(ერთი) წევრი: **ი.კევლიშვილი,** კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) **წევრმა: ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, ე.გურგენაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).**

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამუკა ბურდიაშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. მ.ბურდიაშვილი
13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

მ.ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 29 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით გადის კუთვნილ შვებულებაში.

დაადგინეს: **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამუკა ბურდიაშვილის შვებულება მიმდინარე წლის 29 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით მიღებულ იქნეს ცნობად.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ **ბ.გულიაშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა,** მოითხოვეს განცხადებების გაკეთების უფლება.

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთათვის საფრთხის შემცველი მონაკვეთების შესახებ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების მიღება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოფელ კურდღელაურში 27-ე ქუჩაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ვერ მიდის და გარკვეული პრობლემები ექმნება მოსახლეობას, საჭიროა ამ ქუჩის რეაბილიტაცია. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ სტიქიიდან 90 დღის შემდგომ მოსახლეობა კვლავ ელოდება დახმარებას.

ბ.გულიაშვილმა ისაუბრა რეგლამენტის დაცვის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოს უნდა გააჩნდეს სამუშაო გეგმა, შეიცვალოს რეგლამენტი და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, მან აგრეთვე დაადაშაულა საკრებულოს თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ერთერთი საკითხის განხილვისას დაარღვია საკრებულოს რეგლამენტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ლ.ბერძენაშვილმა** განმარტა, რომ კომისიის მიერ შესწავლილ და განხილულ იქნა ბ.გულიაშვილის დაყენებული საკითხი სხდომის თავმჯდომარის მიერ მისი გამოსვლის შეფასების შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ სხდომის თავმჯდომარის მხრიდან არსებული ხასიათის პროცედურულ დარღვევას ადგილი არ ქონია.

ბ.გულიაშვილმა აგრეთვე ისაუბრა საკრებულოს წევრების მიერ საკითხზე კენჭისყრისას უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია მომხრედ ან მოწინააღმდეგედ. თუ არ იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას უნდა გააკეთოს შესაბამისი განცხადება.

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**